

სს „ევექსი ჰოსპიტლები“

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2020 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძველი.....	12
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	12
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	14
5. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები.....	14
6. ძირითადი საშუალებები.....	14
7. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები.....	14
8. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები.....	15
9. ნასესხები სახსრები.....	16
10. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.....	16
11. პირობითი ვალდებულებები.....	17
12. საკუთარი კაპიტალი.....	18
13. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან.....	18
14. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება.....	19
15. წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია.....	19
16. კაპიტალის მართვა.....	20
17. რისკის მართვა.....	21
18. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	23
19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	25
20. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	26

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	30 ივნისი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	19,790	4,564
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	5	101,149	130,282
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		15,899	16,465
გადახდილი ავანსები		7,747	4,460
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები		88	86
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		7,840	7,840
ძირითადი საშუალებები	6	505,345	512,668
აქტივის გამოყენების უფლება	7	3,237	3,818
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	8	58,362	56,669
სხვა აქტივები		105,069	85,207
სულ აქტივები		824,526	822,059
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები		21,703	17,475
კრედიტორული დავალიანება		45,320	43,458
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		30	29
საიჯარო ვალდებულებები	7	3,603	4,054
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები		736	736
ნასესხები სახსრები	9	143,002	148,499
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	10	114,045	111,953
სხვა ვალდებულებები		4,583	4,193
სულ ვალდებულებები		333,022	330,397
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	47,828	47,828
დამატებით შეტანილი კაპიტალი	12	256,868	256,368
სხვა რეზერვები	12	(14,604)	(14,604)
გაუნაწილებელი მოგება		131,458	132,481
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი საკუთარი კაპიტალი		421,550	422,073
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		69,954	69,589
სულ საკუთარი კაპიტალი		491,504	491,662
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		824,526	822,059

1-26 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია სს „ვექსი ჰოსპიტლების“ დირექტორთა საბჭოს მიერ 2020 წლის 11 სექტემბერს და დირექტორთა საბჭოს სახელით მას ხელს აწერენ შემდეგი პირები:

ირაკლი გოგია

გენერალური დირექტორის მოადგილე

2020 წლის 11 სექტემბერი



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	30 ივნისი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	19,790	4,564
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	5	101,149	130,282
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		15,899	16,465
გადახდილი ავანსები		7,747	4,460
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები		88	86
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		7,840	7,840
ძირითადი საშუალებები	6	505,345	512,668
აქტივის გამოყენების უფლება	7	3,237	3,818
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	8	58,362	56,669
სხვა აქტივები		105,069	85,207
სულ აქტივები		824,526	822,059
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები		21,703	17,475
კრედიტორული დავალიანება		45,320	43,458
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		30	29
საიჯარო ვალდებულებები	7	3,603	4,054
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები		736	736
ნასესხები სახსრები	9	143,002	148,499
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	10	114,045	111,953
სხვა ვალდებულებები		4,583	4,193
სულ ვალდებულებები		333,022	330,397
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	47,828	47,828
დამატებით შეტანილი კაპიტალი	12	256,868	256,368
სხვა რეზერვები	12	(14,604)	(14,604)
გაუნაწილებელი მოგება		131,458	132,481
კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი საკუთარი კაპიტალი		421,550	422,073
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		69,954	69,589
სულ საკუთარი კაპიტალი		491,504	491,662
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		824,526	822,059

1-26 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია სს „ვექსი ჰოსპიტლების“ დირექტორთა საბჭოს მიერ 2020 წლის 11 სექტემბერს და დირექტორთა საბჭოს სახელით მას ხელს აწერენ შემდეგი პირები:

ირაკლი გოგია

გენერალური დირექტორის მოადგილე

2020 წლის 11 სექტემბერი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	30 ივნისი 2020	30 ივნისი 2019
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	13	125,350	147,784
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	14	(79,250)	(85,448)
საერთო მოგება		46,100	62,336
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3,237	6,706
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(11,930)	(11,658)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(4,903)	(5,641)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშებისა და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება		(2,137)	(2,267)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(4,615)	(6,486)
		(23,585)	(26,052)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		25,752	42,990
ცვეთა და ამორტიზაცია		(15,192)	(13,697)
საპროცენტო შემოსავალი		5,813	1,178
საპროცენტო ხარჯი		(14,589)	(11,409)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან და სავალუტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება		(2,376)	(3,145)
წმინდა არარეგულარული ხარჯი		(66)	(348)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		(658)	15,569
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება უწყვეტი საქმიანობიდან		(658)	15,569
პერიოდის წმინდა ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	(1,228)
პერიოდის მოგება, სულ		(658)	14,341
პერიოდის მოგება, სულ, რომელიც განკუთვნილია:			
- კომპანიის აქციონერებისთვის		(1,023)	11,571
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		365	2,770

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ლარში)

	განკუთვნილი კომპანიის აქციონერებისთვის					არასა- კონტრო- ლო პაკეტი	სულ საკუთარი კაპიტალი
	სააქციო კაპიტალი	დამა- ტებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერ- ვები	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ		
31 დეკემბერი, 2018 წ.	56,345	302,753	(15,819)	131,040	474,319	65,570	539,889
პერიოდის მოგება	-	-	-	11,571	11,571	2,770	14,341
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	11,571	11,571	2,770	14,341
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში	-	-	1,131	-	1,131	(1,131)	-
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში	-	-	-	-	-	171	171
არასაკონტროლო პაკეტების მფლობელების მიერ	-	-	-	-	-	-	-
ბიზნესის გაყოფის ეფექტი	(8,517)	(47,965)	84	(23,118)	(79,516)	(1,192)	(80,708)
საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების შესყიდვა	-	(1,253)	-	-	(1,253)	-	(1,253)
არასაკონტროლო პაკეტის გაზავება	-	-	-	-	-	1,174	1,174
წილობრივი ანაზღაურება (15-ე შენიშვნა)	-	2,160	-	-	2,160	-	2,160
30 ივნისი, 2019 წ.	47,828	255,695	(14,604)	119,493	408,412	67,362	475,774

	განკუთვნილი კომპანიის აქციონერებისთვის					არასა- კონტრო- ლო პაკეტი	სულ საკუთარი კაპიტალი
	სააქციო კაპიტალი	დამა- ტებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერ- ვები	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ		
31 დეკემბერი, 2019 წ.	47,828	256,368	(14,604)	132,481	422,073	69,589	491,662
პერიოდის მოგება	-	-	-	(1,023)	(1,023)	365	(658)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	(1,023)	(1,023)	365	(658)
საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების შესყიდვა	-	(700)	-	-	(700)	-	(700)
წილობრივი ანაზღაურება (15-ე შენიშვნა)	-	1,200	-	-	1,200	-	1,200
30 ივნისი, 2020 წ.	47,828	256,868	(14,604)	131,458	421,550	69,954	491,504

11-26 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	<i>შენიშვნა</i>	<i>30 ივნისი 2020</i>	<i>30 ივნისი 2019</i>
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი		151,509	124,679
ჯანდაცვის მომსახურების გადახდილი თვითღირებულება		(77,356)	(76,876)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(7,721)	(18,264)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(7,254)	(8,466)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,222	3,021
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(320)	(412)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		60,080	23,682
მოგების გადახდილი გადასახადი		(43)	(40)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		60,037	23,642
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით		-	(728)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(9,727)	(13,204)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(671)	(1,208)
გაცემული სესხები		(12,450)	(6,226)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		855	108
ინვესტიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში		-	(152)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	(27)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(21,993)	(21,437)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები		21,600	9,965
ნასესხები სახსრების დაფარვა		(35,606)	(10,940)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა, ძირი		(298)	(434)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა, დარიცხული პროცენტი		(85)	(65)
საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების შესყიდვა		(700)	(1,253)
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(8,100)	(11,883)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(23,189)	(14,610)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		371	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		15,226	(12,405)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		4,564	14,404
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	4	19,790	1,999

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ევექსი ჰოსპიტლები“ არის 2014 წლის 1 აგვისტოს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: ა. ბელიაშვილის ქ. 142, თბილისი, საქართველო. კომპანია, ამ შენიშვნაში ნახსენებ შვილობილ კომპანიებთან ერთად, ქვემოთ მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“, „კომპანია“ ან „ევექსი“. ჯგუფი სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოებისა და კლინიკების ქსელის მეშვეობით.

2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევექსის 100%-იანი წილის მფლობელი იყო სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). ეს უკანასკნელი არის ინგლისში, ლონდონში დაფუძნებული „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (შემდგომში „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“) 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია. ევექსის შედეგები კონსოლიდირდება საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებში. 2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევექსის საბოლოო მშობელი კომპანია იყო საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალი“ („ჯორჯია კაპიტალი“), რომელიც ინგლისში, ლონდონშია დაფუძნებული.

კომპანია მოიცავდა საქართველოში დაფუძნებულ შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	წილობრივი მონაწილეობა/ზმის უფლება		საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შემწის თარიღი	იურიდიული მისამართი
	30-ივნ-2020	31-დეკ-2019				
შვილობილი კომპანიები						
გნკო	50%	50%	ჯანდაცვა	4-ივნ.-01	5-აგვ.-15	ქავჭავაძის გამზ. 16, თბილისი, საქართველო
შპს „ნეფროლოგიის განვითარების კლინიკური ცენტრი“	40%	40%	ჯანდაცვა	28-სექტ.-10	5-აგვ.-15	წინანდლის ქ. 9, თბილისი, საქართველო
მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა	50%	50%	ჯანდაცვა	16-აპრ.-99	5-აგვ.-15	წინანდლის ქ. 9, თბილისი, საქართველო
შპს „რეგიონული ჰოსპიტალი“	99.8%	99.8%	ჯანდაცვა	12-იანვ.-12	30-ივნ.-15	პეტრე ქავთარაძის ქ. 23, თბილისი, საქართველო
შპს „ევექს-ლოჯისტიკა“	100%	100%	ჯანდაცვა	13-თებ.-15	არა	ვაჟა-ფშაველას გამზ. 40, თბილისი, საქართველო
სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი“	67%	67%	ჯანდაცვა	5-მაის.-03	29-ნოემბ.-11	ჯავახიშვილის ქ. 85, ქუთაისი, საქართველო
შპს „ა. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი“	67%	67%	ჯანდაცვა	15-ოქტ.-04	29-ნოემბ.-11	ჯავახიშვილის ქ. 83ა, ქუთაისი, საქართველო
ა(ა)იპ „ევექსის სასწავლო ცენტრი“	100%	100%	სხვა	20-დეკ.-13	20-დეკ.-13	ჯავახიშვილის ქ. 83ა, თბილისი, საქართველო
შპს „ემერჯენსი სერვისი“	85%	85%	ჯანდაცვა	18-ივნ.-13	1-მარტ.-15	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო
სს „პედატრი“	76%	76%	ჯანდაცვა	5-სექტ.-03	6-ივლ.-16	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი, საქართველო
შპს „ახალი კლინიკა“	100%	100%	ჯანდაცვა	3-იანვ.-17	20-ივლ.-17	ვაჟა-ფშაველას გამზ. 40, თბილისი, საქართველო
მეკავშირე კომპანიები						
შპს „N5 კლინიკური საავადმყოფო“	35%	35%	ჯანდაცვა	16-სექტ.-99	4-მაის.-16	თებქა, XI მიკრო-რაიონი. კორპ. 1, N 1/47, თბილისი, საქართველო
ა(ა)იპ „ჯანდაცვის ასოციაცია“	25%	25%	ჯანდაცვა	25-მარტ.-16	არა	ვაჟა-ფშაველას გამზ. 27ბ, თბილისი, საქართველო
ააიპ „საქართველოს სამედიცინო ტურიზმის საბჭო“	28.6%	28.6%	ჯანდაცვა	25-მარტ.-16	არა	ნუშის ბაღების ქ. #1 ბ, კორპ. N10, N13, 1-2 სართული, წყნეთი, ვაკის რაიონი, თბილისი

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ყველა ინფორმაციას რომელიც სავალდებულოა ყოველწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის.

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოთხოვს მენეჯმენტის მიერ გარკვეული დაშვებების გაკეთებას, რომლებიც ზეგაღწევისას ახსენს მოგება-ზარალისა და აქტივებისა და ვალდებულების თანხებზე, ასევე პირობითი ვალდებულებების ბალანსებზე იმ თარიღისათვის, რომელი თარიღისთვისაც ეს ანგარიშგება არის მომზადებული. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის ეს დაშვებები დამყარებულია მენეჯმენტის საუკეთესო შეფასებაზე, რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს გაკეთებული დაშვებებისაგან.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსები, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ჯგუფისათვის აქტუალური სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

შუალდრუი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტები თანხვედრაშია იმ სტანდარტებთან, რომელიც გამოყენებული იყო 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გარდა გამონაკლისი სტანდარტებისა, რომლებიც მიღებულ იქნა 2020 წლის 1 იანვარს. 2020 წელს რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია მოქმედებს პირველად, მაგრამ გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში „საწარმოს განმარტება“

ცვლილებები ფასს 3-ში „საწარმოთა გაერთიანება“ აზუსტებს რომ, შეძენილი საქმიანობებისა და აქტივების კომპლექსი რომ წარმოადგენდეს საწარმოს, აუცილებელია რომ ამოსავალი მონაცემები და არსებითი პროცესი ერთობლივად მნიშვნელოვნად განაპირობებენ პროდუქტის შექმნის უნარს. ამ ცვლილებებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა არ აქვს, თუმცა შესაძლებელია მომავალში ჰქონდეს, თუ ჯგუფი საწარმოთა გაერთიანებაში მიიღებს მონაწილეობას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღივცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვლილებები ფასს (IFRS) 7-ში, ფასს 9-სა და ბასს 39-ში

ფასს 9-სა და ბასს 39-ში ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა შეიტანეს რიგი შედგავთებისა, რომლებიც ეხება ყველა ჰეჯირების ურთიერთობას, რომლებზეც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმა. საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმა ჰეჯირების ურთიერთობაზე გავლენას ახდენს, თუ რეფორმა წარმოშობს გაურკვევლობებს ჰეჯირებული საგნის დროსთან ან ჰეჯირებული საგნის ნიშნულზე დაფუძნებულ ფულადი ნაკადებთან ან ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებით. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ის არ აწარმოებს საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირებას.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „მასალის განმარტება“

ცვლილებებით მოცემულია მასალის ახალი განმარტება, სადაც ნათქვამია: ”ინფორმაცია არის მნიშვნელოვანი, თუ ამ ინფორმაციის გამოტოვებამ, შეცდომით ჩვენებამ ან დამალვამ შესაძლოა იქონიოს გავლენაზე იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ფინანსური ანგარიშგების პირველადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელშიც მოცემულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშო სუბიექტის შესახებ.” შესწორებებით დაზუსტდა, რომ მნიშვნელოვნება დამოკიდებულია ინფორმაციის ხასიათზე ან სიდიდეზე, ინდივიდუალურად ან სხვა ინფორმაციასთან ერთად, ფინანსური ანგარიშგების კონტექსტში. არასწორი ინფორმაცია არსებითია, თუკი მან შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს პირველადი მომხმარებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და მოსალოდნელია, რომ არც მომავალში მოახდენდს ზეგავლენას.

2018 წლის 29 მარტს გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური ჩარჩო

კონცეპტუალური ჩარჩო არ არის სტანდარტი და მასში მოყვანილი არცერთი ცნება არ აღემატება რაიმე სტანდარტის ცნებებს ან მოთხოვნებს. კონცეპტუალური ჩარჩოს მიზანია დაეხმაროს ბასს-ს სტანდარტების შემუშავებაში, დაეხმაროს შემუშავებლებს შეიმუშავონ თანმიმდევრული სააღივცხო პოლიტიკა, სადაც არ არსებობს მოქმედი სტანდარტი და დაეხმარონ ყველა მხარეს სტანდარტების გაგებასა და ინტერპრეტაციაში. შესწორებული კონცეპტუალური ჩარჩო მოიცავს ახალ კონცეფციებს, უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების განახლებულ განმარტებებსა და აღიარების კრიტერიუმებს და განმარტავს რამდენიმე მნიშვნელოვან კონცეფციას. ამ ცვლილებებმა გავლენა არ მოახდინა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<u>30 ივნისი 2020</u>	<u>31 დეკემბერი 2019</u>
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	19,656	4,450
ნაღდი ფული სალაროში	134	114
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	19,790	4,564

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაქტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

5. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

	<u>30 ივნისი 2020</u>	<u>31 დეკემბერი 2019</u>
სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშები	78,942	109,998
ფიზიკური პირებისგან და სხვა მისაღები ანგარიშები	29,763	27,013
სადაზღვევო კომპანიებისგან მისაღები ანგარიშები	18,484	17,192
	127,189	154,203
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(26,040)	(23,921)
სულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები, წმინდა	101,149	130,282

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს 2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

6. ძირითადი საშუალებები

2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 505,345 ლარია (2019 წ.: 512,668 ლარი). კომპანიის ძირითადი საშუალებების თვითღირებულება 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 598,271 ლარს შეადგენდა (2019 წ.: 586,855 ლარი), ხოლო დაგროვილი ცვეთა 92,926 ლარს (2019 წ.: 74,187 ლარი).

7. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ჯგუფს საიჯარო ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული იმ შენობებზე, რომლებსაც თავის საქმიანობაში იყენებს. შენობების იჯარის ვადა, როგორც წესი, ერთიდან ათ წლამდეა. ჯგუფის საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. ჯგუფს გარკვეული ტექნიკა 12 თვემდე ვადით აქვს იჯარით აღებული, და აგრეთვე იჯარით აქვს მიღებული დაბალი ღირებულების მქონე აღჭურვილობა. ჯგუფი ამ იჯარებისთვის იყენებს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს. ჯგუფის საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. არცერთი ხელშეკრულებით არ არის ჯგუფი ვალდებული, რომ რამე ფინანსურ კოეფიციენტებს აკმაყოფილებდეს.

ჯგუფმა გააანალიზა იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებების არსებობა. ყველა ხელშეკრულება შეიცავს ან ფულად ან ეკონომიკურ ჯარიმას ხელშეკრულების მთლიან ვადაზე. ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, მეიჯარეს ხშირად ეკისრება ფულადი ჯარიმის გადახდა მოიჯარისთვის, რათა მას აუნაზღაუროს საიჯარო ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები. თითქმის ყველა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, ორივე მხარისთვის არის გათვალისწინებული ეკონომიკური ჯარისმა. მოიჯარისთვის ეკონომიკურ ჯარიმას წარმოადგენს ის მნიშვნელოვანი დრო და ძალისხმევა, რომელსაც იგი მოახმარს ახალი ობიექტის მოძიებას და საიჯარო ქონების გაუმჯობესებას ახალი ობიექტის კონკრეტული საჭიროებებისთვის მოსარგებად. მეიჯარისთვის ეკონომიკური ჯარისმა გულისხმობს გადახდისუნარიან მოიჯარესთან სტაბილური ურთიერთობის დაკარგვას. საოფისე ფართის შემთხვევაში, ეკონომიკური ჯარისმა ნიშნავს მნიშვნელოვან დროს, ძალისხმევას და ხარჯს, რომელიც უკავშირდება ოფისის და მისი ინფრასტრუქტურის სხვა ადგილზე გადატანას. პრაქტიკაში, როგორც ჯგუფის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ისტორიული სტატისტიკა გვიჩვენებს, ზემოაღნიშნული ფულადი და ეკონომიკური ჯარიმები გამოიხატება სტაბილური ურთიერთობების და საიჯარო ხელშეკრულებების ვადად შეწყვეტით, რაც მხოლოდ 1%-მდე შემთხვევებში ხდება.

ჯგუფს არ გამოუვლენია ხელშეკრულებები, რომლებიც ფიქსირებული გადახდების გარდა შეიცავს ისეთ ცვალებად გადახდებსაც, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე.

აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 3,237 ლარს შეადგენდა (2019 წ.: 3,818). საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 3,603 ლარს შეადგენდა (2019 წ.: 4,054).

8. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილის ტესტირებას ყველაზე დაბალ, საოპერაციო სეგმენტის, დონეზე მონიტორინგს უწევს ხელმძღვანელობა. ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას. გაუფასურების ბოლო ტესტირება ჯგუფმა ჩაატარა 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. ჯგუფს არ გამოუვლენია გუდვილის რამენაირი გაუფასურება 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების აღდგენითი ღირებულებები განისაზღვრა ხელმძღვანელობის ზედა რგოლის მიერ დამტკიცებულ, ერთიდან სამ წლამდე ვადის, ფინანსურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით ფულადი ნაკადების პროგნოზების გამოყენებით გაანგარიშებული გამოყენების ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საოპერაციო სეგმენტების ანაზღაურებადი ღირებულება აღემატება საბალანსო ღირებულებას 55,932 ლარით, 15.0%-იანი დისკონტირების განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში. დისკონტირების განაკვეთი, რომელიც საოპერაციო სეგმენტების გამოყენების ღირებულებას უტოლებს საბალანსო ღირებულებას, არის 15.8%.

გუდვილის გაუფასურების ტესტირების ჩატარებისას შემდეგი ძირითადი დაშვებები გაკეთდა:

- დისკონტირების განაკვეთი გამოთვლილია კაპიტალური აქტივების ფასდადების მოდელის გამოყენებით დარგის ბეტა კოეფიციენტზე დაყრდნობით.
- 2020-2024 წლების ფულადი ნაკადების პროგნოზები მოდელირებული იყო 5%-იანი ზრდის ტემპის გათვალისწინებით, ხოლო 2022 წლიდან მოდელირება ეყრდნობოდა საპროგნოზო პერიოდის შემდგომ 5%-იან ზრდის ტემპს.
- საშუალო, სტაბილური 5%-იანი რეალური მშპ-ის ზრდა ნავარაუდევია იქნა 2025 წლისა და მისი შემდგომი წლებისთვის გაკეთებული გარე სტატისტიკური პროგნოზების საფუძველზე.

ბიზნესგეგმის პირველი სამი წლისთვის შემდეგი დამატებითი დაშვებები გაკეთდა:

- დამატებითი სინერგიები გაზრდის ხარჯთეფექტიანობას და გააუმჯობესებს საოპერაციო ფინანსურ ბერკეტებს;
- სხვა ჯანდაცვის მომსახურების მიმართულებების ზრდა მაღალი საბაზრო მოთხოვნიდან და ეკონომიკური ზრდის ფაქტორიდან გამომდინარე.

სხვა არამატერიალურ აქტივებში შედის ლიცენზიები და კომპიუტერული პროგრამები, რომელთა საბალანსო ღირებულებაც 2020 წლის 30 ივნისისთვის 30,501 ლარია (2019 წ.: 28,808 ლარი). კომპანიის არამატერიალური აქტივების თვითღირებულება 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 37,233 ლარს შეადგენდა (2019 წ.: 35,113 ლარი), ხოლო დაგროვილი ამორტიზაცია 6,732 ლარს (2019 წ.: 6,305 ლარი). 2020 და 2019 წლებში ჯგუფს არ გაუსხვისებია თავისი არამატერიალური აქტივები. 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ჯგუფს არ გამოუვლენია არამატერიალური აქტივების გაუფასურება (30 ივნისი 2019 წ.: ნული).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. ნასესხები სახსრები

	<u>30 ივნისი 2020</u>	<u>31 დეკემბერი 2019</u>
უცხოური ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	127,488	136,113
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	8,209	5,651
სხვა	7,305	6,735
ნასესხები სახსრები, სულ	<u>143,002</u>	<u>148,499</u>

2020 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდის ბოლოს, ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 11.7% (2019: 12.37%) იყო, ხოლო საშუალო ვადა - 225 დღე (2019: 364 დღე). საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 8.34% იყო (2019 წ.: 9.28%), ხოლო ვადა - 1,277 დღე (2019 წ.: 1,591 დღე). სხვა ნასესხები სახსრები, ძირითადად, შედგება არასაკონტროლო პაკეტის მფლობელისგან მიღებული სესხისგან. ზოგიერთი სესხი მიღებულია გარკვეული პირობებით, როგორცაა მოზიდული სახსრების წილის, კაპიტალური ინვესტიციების, უძრავი ქონების მინიმალური ოდენობის და სხვა სხვადასხვა ლიმიტის შენარჩუნება. 2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი კრედიტორების ყველა პირობას აკმაყოფილებდა.

10. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

2019 წლის ნოემბერში ვექსი ჰოსპიტლებმა გამოუშვა 50 მილიონი ლარის 5-წლიანი ვადის მქონე ადგილობრივი ობლიგაციები. ობლიგაციები გამოიშვა ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური კუპონის განაკვეთი იყო 11.6%, რაც წარმოადგენს 310 საბაზისო პუნქტის პრემიას სებ-ის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირება) განაკვეთზე. შემოსავალი გამოყენებული იქნა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების და ასევე მანამდე გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების რეფინანსირებისთვის. 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მთლიანი ნაშთი 114,045 ლარია (2019 წ.: 111,953 ლარი).

2017 წლის ივლისში ვექსი ჰოსპიტლებმა გამოუშვა 90 მილიონი ლარის 5-წლიანი ვადის მქონე ადგილობრივი ობლიგაციები. ობლიგაციები გამოიშვა ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური კუპონის განაკვეთი იყო 10.5%, რაც წარმოადგენს 350 საბაზისო პუნქტის პრემიას სებ-ის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირება) განაკვეთზე. მოგება გამოყენებულ იქნა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების რეფინანსირებისთვის, რომლებიც ფინანსირების შედარებით უფრო ძვირადღირებულ წყაროს წარმოადგენს, და ასევე გეგმიური მიმდინარე კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებისთვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ჯგუფს სასამართლო დავა ჰქონდა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ჯამში 8,345 ლარის თანხაზე (2019 წ.: 7,717 ლარი). სოციალური მომსახურების სააგენტოსთან დავა ძირითადად უკავშირდებოდა საპროცესო დარღვევებს სამედიცინო დოკუმენტაციაში, ასევე ბილინგისა და ანგარიშფაქტურების გამოწერის პროცესში.

გადასახადით დაბეგვრა

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ექვევქემ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები “ჯგუფის” ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვევქემ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ შემოწმების პერიოდის წინა ხუთი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებური განმარტება ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის პირობითი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	<i>30 ივნისი 2020</i>	<i>31 დეკემბერი 2019</i>
კაპიტალური დაბანდების ვალდებულება	39	51
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან		
- იჯარა, რომელიც იფარება მაქსიმუმ 1 წელიწადში	34	126
- იჯარა, რომელიც იფარება მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 5 წელიწადში	136	504
სულ მინიმალური ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან	170	630
სულ წმინდა ფინანსური ვალდებულებები	209	681

ჯგუფს არ ჰქონდა პირობითი საიჯარო ქირა ან ქვეიჯარის გადახდები.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ევექსის მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობა იყო 47,828,217 (2019 წ.: 47,828,217). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 0.1 ლარს შეადგენდა და მათგან ყველა სრულად იყო განაღდებული. 2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ განაწილებულა.

სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება

სხვა რეზერვები შედგება არსებულ შვილობილ კომპანიებში დამატებითი წილის შესყიდვის შედეგად მიღებული წმინდა ზარალისგან. ნაშთი 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 14,604 ლარი იყო (2019 წ.: 14,604 ლარი).

13. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

	<u>30 ივნისი 2020</u>	<u>30 ივნისი 2019</u>
სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	87,690	103,481
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	31,307	35,292
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	7,723	10,005
გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	(1,370)	(994)
სულ შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	<u>125,350</u>	<u>147,784</u>

სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან წარმოდგენილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავლით.

ჯგუფმა აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	<u>30 ივნისი 2020</u>	<u>31 დეკემბერი 2019</u>
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	101,149	130,282

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება.

ჯგუფი მიმართავს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მიზანშეწონილობას და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

	<u>30 ივნისი 2020</u>	<u>30 ივნისი 2019</u>
ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი	(45,367)	(51,334)
ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება	(24,793)	(25,288)
კომუნალური და სხვა ხარჯი	(6,661)	(6,785)
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	(2,429)	(2,041)
სულ ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(79,250)	(85,448)

კომუნალურ და სხვა ხარჯებში შედის ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, დასუფთავების, წყალმომარაგების, საწვავის, სამედიცინო აპარატურის სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები. არაპირდაპირი ხელფასები, რომლებიც არ აისახა ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებში 2020 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდით შეადგენდა 11,930 ლარს (30 ივნისი 2019 წ.: 11,658 ლარი) და წარმოდგენილი იყო ცალკე მუხლად მოგებაში ან ზარალში. 2020 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯად აღიარებული ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის მთლიანმა თანხამ შეადგინა 57,297 ლარი (30 ივნისი 2019 წ.: 62,992 ლარი).

15. წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია

Sanne Fiduciary Services (შემდგომში „სატრასტო კომპანია“) გამოდის ნდობით აღჭურვილ პირად ჯგუფის „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ტრასტი“ (შემდგომში „EBT“), რომელიც 2015 წელს დაფუძნდა. EBT-ის შექმნის მიზანს წარმოადგენდა აღმასრულებელი დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მაღალი რგოლისთვის მიკუთვნებადი გადავადებული წილობრივი ანაზღაურების დაკმაყოფილება.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის გეგმები

2020 წლის იანვარში საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის 158,326 ჩვეულებრივი აქციის გადაცემა ევექსის დირექტორისთვის. აქციები გადაიცა უფლების გადაცემის სამწლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობაც უწყვეტი დასაქმებაა. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2020 წლის 31 იანვარს. ჯგუფის შეფასებით, გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის 4.63 ლარი იყო. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის საბაზრო ფასების საფუძველზე. 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აქციებზე უფლების გადაცემა არ მომხდარა.

2019 წლის თებერვალში საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის 109,365 ჩვეულებრივი აქციის გადაცემა ევექსის დირექტორისთვის. აქციები გადაიცა უფლების გადაცემის სამწლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობაც უწყვეტი დასაქმებაა. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2019 წლის 8 თებერვალს. ჯგუფის შეფასებით, გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის 8.02 ლარი იყო. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის საბაზრო ფასების საფუძველზე. 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, დისკრეციული აქციების ერთ მესამედზე უფლება გადაცემულია.

2017 წლის დეკემბერში საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა ევექსის დირექტორისთვის საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის 84,400 ჩვეულებრივი აქციის გადაცემა. აქციები გადაიცა უფლების გადაცემის სამწლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობაც უწყვეტი დასაქმებაა. წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2017 წლის 10 დეკემბერს. ჯგუფის შეფასებით, გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის 12.54 ლარი იყო. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის საბაზრო ფასების საფუძველზე. 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, დისკრეციული აქციების ორ მესამედზე უფლება გადაცემულია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. კაპიტალის მართვა

მართული კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი, სხვა რეზერვებისგან და არასაკონტროლო პაკეტებისგან. ჯგუფს განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით აქციონერებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და აქციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ცვლილება ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში:

	ნასესხები სახსრები	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სულ
1 იანვარი, 2019 წ.	161,107	93,573	254,680
აღებული სესხები	6,582	49,750	56,332
ნასესხები სახსრების დაფარვა	(23,998)	(30,300)	(54,298)
საპროცენტო ხარჯი	15,518	9,649	25,167
გადახდილი პროცენტი	(15,991)	(10,719)	(26,710)
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	5,281	-	5,281
31 დეკემბერი, 2019 წ.	148,499	111,953	260,452

	ნასესხები სახსრები	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სულ
1 იანვარი, 2020 წ.	148,499	111,953	260,452
აღებული სესხები	21,600	-	21,600
ნასესხები სახსრების დაფარვა	(35,606)	-	(35,606)
საპროცენტო ხარჯი	6,573	7,931	14,504
გადახდილი პროცენტი	(2,261)	(5,839)	(8,100)
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	4,197	-	4,197
30 ივნისი, 2020 წ.	143,002	114,045	257,047

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა

<i>30 ივნისი 2020 წ.</i>	<i>ერთ წელზე ნაკლები</i>	<i>ერთ წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19,790	–	19,790
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	88,012	13,137	101,149
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	15,899	–	15,899
გადახდილი ავანსები	7,747	–	7,747
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	88	–	88
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	–	7,840	7,840
ძირითადი საშუალებები	–	505,345	505,345
აქტივის გამოყენების უფლება	–	3,237	3,237
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	58,362	58,362
სხვა აქტივები	9,515	95,554	105,069
სულ აქტივები	141,051	683,475	824,526
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	21,703	–	21,703
კრედიტორული დავალიანება	45,320	–	45,320
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	30	–	30
საიჯარო ვალდებულებები	624	2,979	3,603
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები	–	736	736
ნასესხები სახსრები	30,914	112,088	143,002
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	4,345	109,700	114,045
სხვა ვალდებულებები	3,747	836	4,583
სულ ვალდებულებები	106,683	226,339	333,022
ნეტო პოზიცია	34,368	457,136	491,504
აკუმულირებული გეპი	34,368	491,504	

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

<i>31 დეკემბერი, 2019 წ.</i>	<i>ერთ წელზე ნაკლები</i>	<i>ერთ წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,564	–	4,564
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	117,034	13,248	130,282
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16,465	–	16,465
გადახდილი ავანსები	4,460	–	4,460
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივები	86	–	86
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	–	7,840	7,840
ძირითადი საშუალებები	–	512,668	512,668
აქტივის გამოყენების უფლება	–	3,818	3,818
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	56,669	56,669
სხვა აქტივები	2,789	82,418	85,207
სულ აქტივები	145,398	676,661	822,059
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	17,475	–	17,475
კრედიტორული დავალიანება	43,458	–	43,458
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	29	–	29
საიჯარო ვალდებულებები	734	3,320	4,054
აქციების შესყიდვებზე გადასახდელი ანგარიშები	–	736	736
ნასესხები სახსრები	42,852	105,647	148,499
გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	2,253	109,700	111,953
სხვა ვალდებულებები	3,285	908	4,193
სულ ვალდებულებები	110,086	220,311	330,397
ნეტო პოზიცია	35,312	456,350	491,662
აკუმულირებული გეჰი	35,312	491,662	

თანხები და ვადები ვალდებულებებთან მიმართებაში ეყრდნობა მენეჯმენტის საუკეთესო შეფასებას, რომელსაც ხელს უწყობს სტატისტიკური ტექნიკა და წარსული გამოცდილება. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდურობის ამჟამინდელი დონე საკმარისია ყველა მისი ამჟამინდელი ვალდებულებების შესასრულებლად და ვალდებულებების დროულად დასაფარად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ჯგუფი შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით. მათში ასევე შესულია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში.

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამარ- თლიანი ღირებუ- ლება 30-ივნ-20	საბალანსო ღირებუ- ლება 30-ივნ-20	აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი) 30-ივნ-20
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
სხვა აქტივები: წარმოებული ფინანსური აქტივები	-	91	-	91	91	-
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები						
წილის შესყიდვასთან დაკავშირებული დავალიანება: საწარმოთა შესყიდვისთვის დაკავებული თანხა	-	-	736	736	736	-
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	19,790	-	19,790	19,790	-
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	-	101,149	101,149	101,149	-
ძირითადი საშუალებები	-	-	514,662	514,662	505,345	9,317
აქტივის გამოყენების უფლება	-	-	3,237	3,237	3,237	-
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	-	-	83,066	83,066	83,066	-
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	-	-	145,836	145,836	143,002	(2,834)
გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	114,430	114,430	114,045	(385)
საიჯარო ვალდებულებები	-	-	4,678	4,678	4,583	(95)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამართლიანი ღირებულება 31-დეკ-19	საბალანსო ღირებუ- ლება 31-დეკ-19	აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი) 31-დეკ-19
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
სხვა აქტივები: წარმოებული ფინანსური აქტივები	-	125	-	125	125	-
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები						
წილის შესყიდვასთან დაკავშირებული დავალიანება: საწარმოთა შესყიდვისთვის დაკავებული თანხა	-	-	736	736	736	-
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	4,564	-	4,564	4,564	-
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	-	130,282	130,282	130,282	-
ძირითადი საშუალებები	-	-	522,032	522,032	512,668	9,364
აქტივის გამოყენების უფლება	-	-	3,818	3,818	3,818	-
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	-	-	64,904	64,904	64,904	-
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	-	-	151,511	151,511	148,499	(3,012)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	112,354	112,354	111,953	(401)
საიჯარო ვალდებულებები	-	-	4,174	4,174	4,054	(120)

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა: ჯგუფმა გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, ჯგუფის აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, მოიცავს ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტებს. შერჩეული შეფასების მეთოდი იყენებს დისკონტირებული ფორვარდული ფასწარმოქმნის მოდელს. მოდელი იყენებს სხვადასხვა ამოსავალ მონაცემს, მათ შორის, სავალუტო სპოტ და ფორვარდულ კურსებს.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

მიიჩნევა, რომ იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ ყველა მოკლევადიანი მისაღები ანგარიშის საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის მიხედვით, ფულის ბაზრის არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	30 ივნისი, 2020 წ.			31 დეკემბერი, 2019 წ.		
	მშობელი კომპანია*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები**	სხვა***	მშობელი კომპანია*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები**	სხვა***
აქტივები						
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	-	9,737	-	-	12,208	-
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	41,450	39,850	-	25,908	37,992	-
სხვა აქტივები: წარმოებული ფინანსური აქტივები	-	91	-	-	125	-
სხვა აქტივები: სხვა	-	344	-	-	5,974	-
	41,450	50,022	-	25,908	56,299	-
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები*	-	-	7,305	-	-	6,735
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	535	17,721	-	500	17,233	-
კრედიტორული დავალიანება	-	26,710	-	-	25,787	-
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	-	615	-	-	540	-
სხვა ვალდებულებები	-	29	-	-	30	-
	535	45,075	7,305	500	43,590	6,735

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

	2020 წლის 30 ივნისით			2019 წლის 30 ივნისით		
	დასრულებული პერიოდისთვის			დასრულებული პერიოდისთვის		
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მშობელი კომპანია*	საწარმოები**	სხვა***	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მშობელი კომპანია*	საწარმოები**	სხვა***
შემოსავალი და ხარჯები						
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	-	4,668	-	-	9,514	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(29)	-	-	(96)	-
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	-	(3,226)	-	-	(3,410)	-
საპროცენტო შემოსავალი	4,391	1,234	-	2,036	26	-
საპროცენტო ხარჯი	-	-	(283)	-	(112)	(295)
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	-	(34)	-	-	218	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(72)	-	-	(123)	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	184	-	-	184	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(1)	-	-	-	-
	4,391	2,724	(283)	2,036	6,201	(295)

* 2020 წლის 30 ივნისისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის, მშობელი კომპანია მოიცავს სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ ფინანსურ მონაცემებს.
 * საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები არიან საჯარო საქცილო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალის“ შვილობილი კომპანიები.
 *** სხვა დაკავშირებული მხარეები არიან უმცირესობის წილის მფლობელი გნკო-ში.

უმალესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	30 ივნისი 2020	30 ივნისი 2020
ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	2,109	1,897
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	2,155	2,054
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება*	4,264	3,951

* უმალესი რანგის ხელმძღვანელობა წარმოდგენილია დირექტორთა საბჭოთი.

20. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის აგვისტოში, კომპანიამ გააფორმა გნ კო-ს 40% იანი წილის გასხვისების ხელშეკრულება, მყიდველი საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იყო, რომელიც აპირებს რომ კომპანია გამოიყენოს, როგორც სასწავლო პლატფორმა. აღნიშნული წილის გაყიდვის ფასმა შეადგინა 12 მილიონი დოლარი (37 მილიონი ლარი). კომპანია აპირებს გაასხვისოს მის მფლობელობაში არსებული გნ კო-ს დარჩენილი 10% უახლოეს მომავალში.

2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, გნ კო-ს ჯამური აქტივებისა და EBITDA-ს წილი კომპანიის ჯამურ აქტივებსა და EBITDA-ში იყო 15.1% და 13.8% შესაბამისად. ჯგუფი ამჟამად აღნიშნულ ტრანზაქციაზე რეალიზებული ზარალის დათვლის პროცესშია.

2020 წლის აგვისტოში კომპანიამ სრულად გაასხვისა მეკავშირე კომპანია მე5 კლინიკურ საავადმყოფოში არსებული 35%-იანი წილი ამ კომპანიის ერთ-ერთ აქციონერზე. ჯამური მისაღები თანხა ამ ტრანზაქციიდან არის 1.3 მილიონი დოლარი (4 მილიონი ლარი). 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მე-5 კლინიკური საავადმყოფოს ჯამური აქტივებისა და EBITDA-ს წილი კომპანიის ჯამურ აქტივებსა და EBITDA-ში იყო 0.3% და 0.4% შესაბამისად. ჯგუფი ამჟამად აღნიშნულ ტრანზაქციაზე რეალიზებული მოგების დათვლის პროცესშია.